

თალო უთურგაიკო, აია ანჯგალაკო, თა ტატალოშილი

**ფონოლოგიური ინტერფერენცია კახეთში
ჩამოსახლებული მთის კილოთა წარმოადგენლების
პეტყველებაში**

1. კახურ დიალექტს არსებითად აღარა აქვს / ჳ/; სადაც შემონახულია [ჳ], იგი იქ თავისუფლად მონაცვლეობს [ხ]-სთან. ასეთი მეტყველების გაგონება შეიძლება სიღნაღისა და კაჭრეთის რაიონებში. ეს პროცესი, [ჳ]-სა და [ხ]-ს თავისუფალი მონაცვლეობა, ჯერ კიდევ კალმასობაშია დაფიქსირებული — **მე-19 საუკუნის I ნახევარში** (ნ. კოტინოვი); სიღნაღის რაიონის თანამედროვე ვითარება წარმოდგენილია ლ. შალვაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, რომლებიც გამოქვეყნებულია.

დღეს ამ რაიონებში ბუნებრივია **ხარ/ ვარ (მაგ., „შენ ხარ“ / „შენ ვარ“)** ან პირიქით — **ვარი / ხარი („ვარი მყავს“ / „ხარი მყავს“)** მონაცვლეობა მაშინ, როცა მთის დიალექტები (**ხევსურული, მოხეური, თუშური, ფშაური**) ამ ფონემებს ისევე განარჩევენ, როგორც ძველი ქართული განარჩევდა, რაც ა. შანიძემ აღნიშნა მე-20 საუკუნის დასაწყისში: „**ვარი**, რომელიც დაიკარგა ბევრ ქართულ კილოში, **მთაში დღესაც წმინდად არის დაცული**. ის ძლიერ განიარჩევა გამოთქმით ხანისაგან და იხმარება ზოგიერთ ძირის სიტყვებში, **სწორედ იმ სიტყვებში, ძველადაც რომ ვარი იხმარებოდა: (ველადა, ველწიფე, საგელო [ტანისამოსისა], მოგველე [ვიპოვე] და სხვ.), ფევი...“ [შანიძე 1981,16]** (ხაზი ჩ. — თ. უთურგაიძე).

[ჳ]/ [ხ] მონაცვლეობამ წარმოქმნა სალიტერატურო ქართულის **ხსნა და ხშირი** ფორმები (ზღრ. ძვ. ქართულის **ვსნა და ვშირი**), ე.ი. ბუნებრივი კომპლექსები შეიცვალა არაბუნებრივით [თოფურია, 1927]. ამას [ჳ]-ს არმქონე დიალექტებში მოჰყვა ფონეტიკური ცვლილებები: **ხს>ხნ (ხსნა>ხსნა), ხშ>შნ (ხშირი>შხირი)**.

მთის დიალექტების კახურთან ინტერფერენციის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ჩამოსახლებული მთიელების ის ნაწილიც, რომელიც [ჳ]-ს აღარ ხმარობს, არ იყენებს [ხსნა] და [შხირი] ფორმებს, რაც იმით აიხსნება, რომ მათ, მსგავსად წინა თაობებისა, იციან რა [ჳ]-ს ადგილი / ხ/ და / შ/ ფონემათა გვერდით, / ხჩს ისევ / ხჩსა და / შჩს წინ სვამენ.

2. კახურში {ჳ-} (S₂, O₃) ზმნისწინის ხმოვნების ან ზმნისართთა, ნაწილაკთა (**არა, სადა, ნუ**) და სახელთა ფორმების ბოლო ხმოვნის მომდევნოდ, ნებისმიერი თანხმოვნის წინ გადადის [ა]-ში, მაგალითად: **დააწვები, დააწერს; გააძხლამს, არაა-ზღავს (<არა ჳზღავს*), მოაძარამს, დააფიქ-**

* „არაა= ჳღავს“ შეიძლება ასეც ჩაიწეროს არა- აზღავს, ე.ი. პირის ნიშანი /ა-/ დავტოვოთ ზმნასთან, მაგრამ წარმოთქმაში მარცვალთვამყარის დადების პრინციპით /ა-/ ისმის წინმავალ ხმოვანთან.

რდები, დაექრი, დააბატიკებ, დააქდები; სადაა- ჯდები, დააკარგამს და სხვ.

კახურში სახელთა და ზმნათა ძირეული /ს/ და /შ/ც შეიძლება გადავიდეს [ა]-ში: მაღწავლებელი, ტაატი „ტაშტი“, მუატი „მუშტი“, კომბოატო და სხვ.

მთის დიალექტებში {ჰ-} (S₂, O₃) სრულიად განსხვავებულ ალომორფებს იძლევა ამავე პოზიციებში, ე.ი. მისი ცვლილების მიმართულება კახურისაგან განსხვავებულია, კერძოდ {ჰ-}-ს ალომორფებია: /ს-/ ~ /შ-/ ~ /ზ-/ ~ /ჯ-/ ~ /ღ-/ ~ /ხ-/ მაგალითად: დასწვები, დაჟდები, მაშჭრი, გაზძდები, და-ხკარგავს, დნახავს, ღბერავს, ღბერდები და სხვ. პოზიციური ვარიანტის სახეობა დამოკიდებულია მომდევნო თანხმოვნის წარმოების ადგილსა და მჟღერობა-სიყრუეზე.

როგორც ვხედავთ, მსგავს ვითარებაში კახურსა და მთის დიალექტებში ფონეტიკური პროცესი სრულიად განსხვავებული მიმართულებით ვითარდება. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ კახეთში ჩამოსახლებულ მთიელთა მეტყველებაში, მიუხედავად თითქმის საუკუნოვანი ურთიერთობისა, კახურის აღნიშნული [ა] ბგერიანი ფორმები არა გვხვდება, თუმცა არც მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ფორმები გვხვდება ახალი თაობის მეტყველებაში.

3. [ა] ბგერიანი დამავალი დიფთონგები **სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით** ბრუნვებში ძველი ქართულიდან (წყაროა, წუაროა, წყაროა) მემკვიდრეობით გადმოეცა ქართულ კილოებს. დიფთონგიზაციისა და შემდეგ სრული გამარტივების მიზეზი (მაგ., წყაროის > წყაროა > წყაროს) ყველა ქართული დიალექტისთვის საერთოა — ხმოვანთა კომბინაციების აკრძალვა ერთი მორფემის ფარგლებში ქართველურ ენათა გენეტიკური თვისებაა. სწორედ ამ თვისების საფუძველზე მომხდარა დიფთონგიზაცია და საბოლოოდ სრული გამარტივება მორფემათა საზღვრებზე.

აღნიშნულ ბრუნვებში ხმოვანთა კომპლექსების გამარტივების მიზეზი დასრულებულია ბარის დიალექტებში: ქართლურსა და კახურში. ბარის დიალექტთა გარემოში (ამას სალიტერატურო ენის გავლენაც ემატება) ადვილად ხორციელდება კომპლექსთა სრული გამარტივება მთის დიალექტთა წარმომადგენლების მეტყველებაშიც, რადგან დიფთონგიზაციისა და სრული გამარტივების პროცესი ცვლილების საერთო ხაზზე დევს — ერთი მიმართულების ორი საფეხურია (ძმაი** > ძმაა > ძმა).

4. რაც შეეხება [ა]-ს მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში და სახელთა ფუძეებში (დედას > დედაა, დედის > დედი; მუშტი > მუატი, კომბოსტო > კომბოატო...), ამ ფორმებმა კახურ გარემოშიც ვერ შეაღწიეს მთის დიალექტთა წარმომადგენლების მეტყველებაში, რადგან [ს] > [ა] და [შ] > [ა] არ არის მთის დიალექტების დამახასიათებელი, ისევე როგორც ძველი ქართულისათვის.

ზოგადი დასკვნა განხილულ ინტერფერენციულ გარემოთა და მათში მიმდინარე პროცესთა მიხედვით ასეთია: **(1) ერთი ენის დიალექტურ ქვესისტემებში ინტერფერენცია ადვილად ხორ-**

** ძმაი ტიპის სახელობითი ბრუნვის ფორმები დღესაც ისმის ქ. გორში და მის ახლომახლო სოფლებში.

ციელდება, თუ მათში მიმდინარე მორფონოლოგიური პროცესები ერთი მიმართულებებისაა;

(2) თუ ამოსავალი მორფონოლოგიური წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, ინტერფერენცია არ ხდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი ჩანაცვლება ერთი დიალექტისა მეორით განსაზღვრული თაობების დონეზე, რაც ასევე განსაზღვრულ პირობებს დაემყარება უთუოდ.

ლიტერატურა

თოფურია 1927 — ვ. თოფურია, **კ** და **ხ** სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, „საქართველოს არქივი“, წიგნი II, ტფილისი, 1927.

შანიძე 1981 — ა.შანიძე. ქართული კილოები მთაში, თხზულებანი, II, თბილისი, 1981.

**TEDO UTURGAIDZE, MAIA MANJGALADZE,
TEA TETELOSHVILI**

Phonological Interference in the Speech of The Mountainous Dialectic Representatives Settled In Kakheti

Summary

From the viewpoint of interference of the mountainous dialects with Kakhian it is noteworthy that the settled mountaineers who don't use [q] in their speech any more don't use [sxna] and [šxiri] forms as well.

Conversely from Kakhian, in the settled mountaineers' speech, the changing of a nominal and verbal root [s-], [š-], also [h-] (s₂, o₃) into [j] when they follow the vowels of preverbs, adverbs and particles [ara, sada, nu] and after the last vowel before any consonant in the noun forms.

In the speech of the mountainous representatives influence on Kakhian and Kartlian dialects and the literary language as well, there is realized diphthongization of the falling diphthongs with [j] and then it takes place the full simplification in nominative, genitive and instrumental cases, though this process couldn't be come into action in the noun stems of dative and genitive cases even through the influence of Kakhian.

Thus, if the morphological processes have one direction in the dialectical sub-systems of one language the interference takes place easy there, but if the initial morphological contradiction takes place to the different directions, the interference isn't realized.